

არაკეთილსინდისიერ მფლობელობასთან დაკავშირებული თეორიული და
პრაქტიკული ასპექტები

(კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის
შედარებითსამართლებრივი ანალიზი)

მედეა ბუთიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლაში სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია სულხანიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი სამართლის მიმართულებით

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხელმოწერა:_____ მედეა ბუთიაშვილი

თარიღი: 23.01.2016.

სარჩევი:

გამოყენებული შემოკლებები:	4
აბსტრაქტი.....	5
Abstract.....	6
თავი 1. შესავალი	7
თავი 2. ძირითადი ნაწილი, მფლობელობა	12
2.1. მფლობელობის არსი (ისტორიული ექსკურსი)	12
2.2. მფლობელობის ცნება სხვადასხვა სამართლის მიხედვით.....	15
2.3. მფლობელობის სახეები	20
2.3.1 პირდაპირი მფლობელი	20
2.3.2 არაპირდაპირი მფლობელი	22
თავი 3. მფლობელის სუბიექტური დამოკიდებულება.....	23
3.1. მფლობელობა სუბიექტური კრიტერიუმით	23
3.2. კეთილსინდისიერება, როგორც პრინციპი	26
3.3 კეთილსინდისიერი და არაკეთილსინდისიერი მფლობელის კოდექსიური ცნება.....	28
3.4 მართლზომიერება, როგორც კეთილსინდისიერი მფლობელის აუცილებელი ელემენტი...	32
3.5 არამართლზომიერი მფლობელობა - კეთილსინდისიერებაზე მსჯელობის წინაპირობა.....	37
3.6 კეთილსინდისიერი მფლობელისა და მართლზომიერი მფლობელის გამიჯვნა უფლებამოსილების მიხედვით.....	41
3.7. არაკეთილსინდისიერი მფლობელის უფლებამოსილების ფარგლები	44
დასკვნა	47
ბიბლიოგრაფია	52

გამოყენებული შემოკლებები:

ა.შ - ასე შემდეგ.

რედ. - რედაქტორი.

ე.ი. - ესე იგი.

თბ. - თბილისი.

ე.წ. - ეგრეთ წოდებული.

იხ. - იხილეთ.

გვ. - გვერდი.

თარგმ. - თარგმნა.

მაგ. - მაგალითად.

სხვ. - სხვა.

ტ. - ტომი

სსკ. - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

გსკ. - გერმანიის სამოქალაქო კოდექსი.

ისკ. - იტალიის სამოქალაქო კოდექსი.

წ. - წელი.

აბსტრაქტი

მფლობელობა, როგორც ვიცით, ერთ-ერთ სანივთო უფლებას წარმოადგენს, რომელიც მოქმედი სანივთო სამართლით გატანილია საკუთრების უფლებიდან და ცალკე ქონების შემდგომ განიხილება. ვინაიდან მფლობელობა ფაქტია, ამ ფაქტის უკან კი საკუთრების უფლების გარდა, ხშირად სხვა სანივთო და ვალდებულებითი უფლებებიცაა.

გარდა იმისა, რომ მფლობელობა გამიჯნულია საკუთრებისაგან, ამასთან აღიარებულია რომის სამართლიდან მომდინარე დებულება, რომლის თანახმადაც „ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე“¹. ეს ვარაუდი გამოიყენება მხოლოდ მოძრავი ნივთების მიმართ. ვინაიდან მოძრავ ნივთზე საკუთრება არ მოითხოვს რაიმე საბუთის ფორმით არსებობას, მის ადგილს იკავებს მფლობელის კეთილსინდისიერების ვარაუდი.

განსაკუთრებული სპეციფიკით ხასიათდება არა თუ ვარაუდი, არამედ, როგორც კეთილსინდისიერი ისე არაკეთილსინდისიერი მფლობელის ცნების განსაზღვრა. შესაბამისად, ნაშრომის ფარგლებში განხილულ იქნება მოცემული საკითხის აქტუალობა როგორც ქართული სამოქალაქო კანონმდებლობის, ისე სასამართლო პრაქტიკის მიხედვით - კვლევის შედარებითი მეთოდის გამოყენებით. ნაშრომის მიზანია, გამოვლენილ იქნეს აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით კანონში არსებული ხარვეზები და მათი აღმოფხვრის შესაძლო გზები.

¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 158, ნაწილი პირველი, 2014 წლის სექტემბრის მდგომარეობით

Abstract

The possession, as we know it, represents one of the substantial rights, which is separated from the property rights under the current property law and is considered after the separate property. The possession is a fact, and often beyond this fact, other property and liability rights stand, apart from the property rights.

The possession is separated from the property, but the following provision that derives from the Roman law is also acknowledged “it shall be presumed that the one possessing an item is the owner of it”.² This presumption is only used towards mobile items. There is no demand on having any sort of documentation regarding the possession of a mobile item; hence it is practiced under a bona fide owner estimate.

The assumption has no particularly specific characteristics, but rather a bona fide and mala fide owner’s concept definitions. Therefore, this thesis will discuss the importance of the issue based on Georgian legislation and court practices through comparative research method. The thesis aims at identifying the flaws in law regarding the given issue, and further finds out the possible ways to eliminate them, respectively.

² The Civil Code, Article 158, Part I, on September 2014